საქართველო

9238-01-2-201903061427

საგარეო საქმეთა სამინისტრო

GRASS REFORMANDA
აპიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 21
თარიღი: 7 03 2019

№ 01/9238
06/03/2019

„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ელ. ფოსტა: Irina_gurgenashvili@yahoo.com

თქვენი 2019 წლის 6 თებერვლის N31 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, 2011 წლის 1 აპრილს, საქმის არსებითი განხილვისათვის დაუშვებლად ცნო საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კონვენციის დებულებების დარღვევასთან დაკავშირებით. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, არ იყო დაკმაყოფილებული კონვენციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2011 წლიდან მოყოლებული, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის წარიმართა მიმოწერა, რომლის ფარგლებშიც არამხოლოდ დადასტურებული იქნა საქართველოს პოზიცია კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით მოლაპარაკების გაგრძელების თაობაზე, არამედ ასევე განხილულ იქნა კონვენციით გათვალისწინებული წინასასამართლო მექანიზმების ამოწურვასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარდგენილ სახელმწიფოთაშორის სარჩელს - (საქმე: საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)), რომელიც შეეხება 2008 წლის ომის შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევებისათვის რუსეთის პასუხისმგელობის საკითხებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2014 წლის ნოტით საქართველოს მთავრობამ აცნობა რუსეთის ფედერაციას, რომ მოცემულ საკითხს „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კონვენციასთან დაკავშირებულ დავასთან დაკავშირებით, ქართული მხარე დაუბრუნდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოების დასრულების შემდგომ.

რაც შეეხება, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 61-ე მუხლის საფუძველზე, 2021 წლის შემდეგ დავის გაგრძელების შეუძლებლობას, აღსანიშნავია, რომ ხსენებული მუხლი შეეხება გადაწყვეტილების გადასინჯვას ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე, რომელსაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და რომელიც არ იყო ცნობილი სასამართლოსა და გადასინჯვის მომთხოვნი მხარისთვის. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ამგვარი გარემოება, ქართულ მხარეს ექნება საფუძველი მიმართოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 61-ე მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01